

პროგრამების განხორციელების მიზანშეწონილობების დასაბუთება

გემბანის რიგითი მეზღვაური

გემბანის რიგითი მეზღვაურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობა განაპირობა იმ ფაქტორმა, რომ საქართველოს, საზღვაო ტრანსპორტის მომსახურების სფეროს მსოფლიო შრომის ბაზარზე მეზღვაურების მიწოდების დიდი პოტენციალი აქვს.

მეზღვაურის პროფესია ერთ-ერთი ყველაზე მაღალანაზღაურებადი პროფესიაა მსოფლიოში და, განსაკუთრებით, საქართველოში.

მატროსის ხელფასი თვეში 1 000-1 200 დოლარიდან იწყება და გემის კაპიტნებისთვის 15 ათას დოლარს აღწევს“.

მიმდინარე პერიოდისათვის, საქართველოში დარეგისტრირებულია 10 000-მდე აქტიური სხვადასხვა თანრიგის მეზღვაური, რომლებსაც, ანაზღაურების სახით, ქვეყნის ეკონომიკაში ყოველწლიურად 200 მილიონ ლარამდე შეაქვთ.

მატროსის პროფესია და შესაბამისად, გემბანის რიგითი მეზღვაურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე განათლების დაუფლება აჭარასა და მიმდებარე რეგიონებში ერთ-ერთ ყველაზე მოთხოვნადია.

სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაური

სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობა განაპირობა იმ ფაქტორმა, რომ საქართველოს, საზღვაო ტრანსპორტის მომსახურების სფეროს მსოფლიო შრომის ბაზარზე მეზღვაურების მიწოდების დიდი პოტენციალი აქვს.

მეზღვაურის პროფესია ერთ-ერთი ყველაზე მაღალანაზღაურებადი პროფესიაა მსოფლიოში და, განსაკუთრებით, საქართველოში.

გემის მექანიკოსის ხელფასი თვეში 1 000-1 200 დოლარიდან იწყება და გემის კაპიტნებისთვის 15 ათას დოლარს აღწევს“. მიმდინარე პერიოდისათვის, საქართველოში დარეგისტრირებულია 10 000-მდე აქტიური სხვადასხვა თანრიგის მეზღვაური, რომლებსაც, ანაზღაურების სახით, ქვეყნის ეკონომიკაში ყოველწლიურად 200 მილიონ ლარამდე შეაქვთ.

გემის მექანიკოსის პროფესია და შესაბამისად, სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე განათლების დაუფლება აჭარასა და მიმდებარე რეგიონებში ერთ-ერთ ყველაზე მოთხოვნადია.